

საპრესბიურო

ქართული
ბიზნისი

საპრესბიურო

პარასკევი 14 მაისი 2004 №108 (2127)

ფასი 50 თეთრი

რამდენი სიბინძურე ხდება ქართულ ფეხბურთში? ნლიდან წლამდე ამ გულიდან ამოხეთქილი სიტყვების ძახილი მომბებრებელი გახდა და გაუფასურდა. კონკრეტული ფაქტების, კონკრეტული გვარების დასახელების გარეშე გულზე მუშტის ცემა სასაცილო გახდა. მუშტის მცემლები კი საცოდავად გამოიყურებიან.

ამ დღეებში ახალი სკანდალი აგორდა და ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ საქმე სიტყვების არაფრისმთქმელ რახარუხზე შორს უნდა წავიდეს. თუმცა, მეორე მხრივ, ბევრი მსგავსი შემთხვევაც გვახსოვს, საქმე შორს რომ უნდა წასულიყო, მაგრამ ერთი ადგილი ტკეპნა და გაჩერდა.

სწორედ ამიტომაც, სიმართლე ვითხრათ, იმ ხალხის პრინციპულობისა, ვისაც ამ ბოლო ამბის გარჩევა ევალება, ნაკლებად გვჯერა. მაგრამ არის ვულგარული, რომელსაც, ვინძლო, ჯერ არ დაუკარგავს იმედი, რომ სიმართლე, ბოლოს და ბოლოს, თუნდაც ერთხელ ითქმება.

ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა მოხდა. ჩვენ მხოლოდ ფაქტების არასრული ნუსხა და ეჭვები გვაქვს.

ფაქტები კი ასეთია:

— 9 მაისს „თბილისი“ — „დინამოს“ უპრინციპულეს შეხვედრაში სტუმრებმა გაიმარჯვეს, რითაც ჩემპიონობის უმთავრეს ფავორიტებად იქცნენ, „თბილისი“ კი ბრძოლას ჩამოშორდა.

— ზუგდიდელმა კახა მესხმა, ამ მატჩის არბიტრმა, ფედერაციის ინსპექტორის, ოთარ გუნთაძის აზრით, კარვად იმსაჯა და რაიმე თვალმისაცემი შეცდომა არ დაუშვია.

— მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მსაჯობის ხარისხზე აუცი არავის დასცდენია და „დინამოს“ გამარჯვების სამართლიანობაში ეჭვიც არ შეუტანიათ.

— ნამატჩევს გუნთაძე მესხთან მივიდა და კარგი მსაჯობისთვის შეაქო, რაზეც მესხს აღმობდენია, რას ვადავრჩიო. გუნთაძე მესხს ჩაეძია და ათქმევინა, რომ მატჩის წინ მისთვის დაურეკავთ და „დინამოს“ გამარჯვება მოუთხოვიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახის დანოკებით დამუქრებიან.

— 11 მაისს, ანუ ორი დღის მერე, ფედერაციამ მესხი ზუგდიდიდან ჩამოიყვანა, ახსნა-განმარტებითი ბარათი დაანერჩინა და უკან გაუშვა.

— „თბილისის“ დამფუძნებელმა მამუკა გუგუშაშვილმა თქვა, რომ აქვს ინფორმაცია, თითქოს მესხმა სატელეფონო დამმუქრებელი და მის უკან მდგომი პიროვნება დაასახელა.

— გუნთაძის თქმით კი, დამმუქრებლის ვინაობა მესხისთვის უცნობია.

— მესხმა თქვა, რომ თბილისში ჩამოვა და ყველაფერს იტყვის.

ახლა კი უპასუხო კითხვები და ეჭვები:

— მესხი ვალდებული იყო, მუქარის თაობაზე მატჩამდე ეთქვა და მას სამსაჯო კომიტეტი აცილებას მისცემდა. მან ეს არ გააკეთა. რატომ?

— რატომ აღიარა მესხმა მუქარის ფაქტი მატჩის მერე, როცა „დინამომ“ მოიგო? მის ოჯახს ხომ საფრთხე აღარ ელოდა, აღიარებით კი თავი უმძიმეს მდგომარეობაში ჩაიგდო.

— ახსნა-განმარტება მხოლოდ ორი დღის მერე დაინერჩა. რა ხდებოდა ფედერაციაში ამ ორი დღის განმავლობაში?

თუ კარვად ჩავეძიებით, სხვა უამრავი კითხვაც გაჩნდება, მაგრამ მთავარი ხომ პასუხებია. ალილო და ხვალეო, თუ ვინმე, ვისაც საქმის გარჩევა ევალება, რამის გამკეთებელია, ამ დღეებში გამოჩნდება. ჩვენ კი დავძინოთ, რომ კახა მესხი, რომლის ქცევაშიც ბლომად შეუსაბამობებს ვხედავთ, მაინც განტყევის ვაცი გვგონია. ერთმანეთს ორი ყველაზე ნელგამართული ქართული გუნდი დაეჯახა. ეს დაჯახება მატჩამდე დაიწყო და მატჩის მერეც გავრცელდა. ასე რომ, ეს მატჩი, როგორც ჩანს, ოდენ 22 ფეხბურთელის და ერთი უიღბლო მსაჯის საათნახევრიანი სირბილი არ ყოფილა.

ეს რადაც ახალღია ქართულ ფეხბურთში მდიდარ კლუბთა დია ბრძოლა დაიწყო



მსაჯი
კახა
მესხი
უხვე
განიჭყლიტა

ვინ იქნება შემდეგი?



გურამ დოლაბაძის ფოტო

ააღნი კაშილაძის ფოტო

თბილისი: დიდ სკანდალს ავაპორებთ

VS

დინამო: ცილისწამებას უპასუხოდ არ დავტოვებთ

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის მერვე ტურის „თბილისი“ — „დინამოს“ დიდი სკანდალი მოჰყვა. მატჩის არბიტრი კახა მესხი არ მალავს, რომ მას თამაშის წინ დაურეკეს. მაგრამ ვინ დაურეკა მესხს და რატომ? იყო ეს მუქარა და თუ არა, მაშინ რატომ დაურეკეს?

სანამ საქმე ბოლომდე გაირკვევა და გაირჩევა, „თბილისის“ ერთ-ერთ მესვეურ მამუკა გუგუშვილს რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ

- გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ დაურეკა მესხს?
- როგორც ჩემთვის ცნობილია, მესხმა დაასახელა ეს პიროვნება და ყველაფერი ეს ოფიციალურადაა გაფორმებული, მაგრამ ზუსტად რა დაწერა და ვინ დაასახელა, ეს ჩემთვის ჯერ უცნობია. ამ საკითხს ალბათ აღმასკომზე გამოიტანს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და იმ პიროვნებასაც დაუძახებენ, ვინც მესხმა დაასახელა.
- ამბობენ, რომ იმ პიროვნებამ, ვინც მესხს დაურეკა, უკვე დაასახელა ის პიროვნება, ვინც მას მესხთან დარეკვა შეუკვთა.
- ვინც მესხს ტელეფონით ელაპარაკა, ის ალბათ დამკვეთსაც დაასახელებს.
- როგორ ფიქრობთ, თუ მესხთან დამრეკავი აღმასკომის სხდომაზე არ მოვა, მერე რა მოხდება?
- როგორც გავიგე, ამ პიროვნებას ფეხბურთთან შეხება აქვს და თუ ის არ მოვა აღმასკომზე, ალბათ საერთოდ მოკვეთენ ფეხბურთიდან — ეს უკვე იმის დასტური იქნება, რომ მსაჯზე ზეწოლა მართლაც იყო. ჩვენთვის მთავარია, რომ ფაქტის აღიარება მოხდეს, თორემ არც „დინამოს“ დასჯა გვინდა, არც მისთვის სამი ქულის ჩამოკლება და მატჩის გადათამაშებაზეც უარს ვამბობთ, რადგან მერე არ თქვან, რომ ეს სკანდალი იმიტომ აგორდა, თითქოს „დინამოს“ ვინმე ებრძვის.
- როგორც შევტყვევით, „თბილისის“ დამფუძნებლები ყველაფერ ამასთან დაკავშირებით „დინამოს“ მფლობელ ბადრი პატარაკაციშვილთან აპირებთ შეხვედრას...
- ჯერ ყველაფერს დეტალურად უნდა გავეცნოთ. თუმცა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისგან ვიცით, რომ ვითარება საგანგაშოა. ერთი სიტყვით, ჯერ შეეხედავთ, თუ რას მოგვიტანს აღმასკომის სხდომა და ამის მიხედვით გადავწყვეტთ ყველაფერს. თუ საჭირო გახდა, არც პატარაკაციშვილთან შეხვედრას მოვერიდებით. პატარაკაციშვილს დიდ პატივს ვცემთ, რადგან მას სურს, რომ ქართულ ფეხბურთში ღირსეული ხალხი მუშაობდეს.
- მიმდინარე ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი რომ გარიგებული იყო, ამის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა და ხმაური ადრეც იყო, მაგრამ არავინ დასჯილა — ეს ამბავიც ასე ჩაივლის?
- არა მგონია. როგორც ვიცი, თუ ფაქტი დამტკიცდა, დამნაშავე დაისჯება, ჯოხი მხოლოდ მსაჯზე არ უნდა გადატყდეს.
- მიგაჩნიათ, რომ მესხმა მიკერძოებულად იმსაჯა „თბილისი“ — „დინამო“?
- გოლი არ ჩავვითვალა, პენალტი არ დანიშნა ჩვენს სასარგებლოდ და დინამოელი კანკაე არ გააძევა. თუ ყველაფერი ეს არბიტრის უნებლიე შეცდომა იყო, ხმას არ ამოვიღებთ, მაგრამ თუ ეს განზრახ მოხდა, დიდ სკანდალს ავაგორებთ.

დავით თაგართილაძე



კახა მესხთან დაკავშირებული სკანდალის შესახებ დინამოელებმა უკრაინაში შეიტყვეს. ეს აბსურდია — ასეთი მოკლე და კონკრეტული პასუხი შემოთვალეს კიევიდან დინამოელებმა. ეს იყო სამშაბათს, გუშინწინ და გუშინ კი სკანდალი უფრო გაღვივდა. ბევრი რამ ითქვა ოფიციალურ-არაოფიციალური და ჩვენც გუშინ „დინამოს“ მმართველ დირექტორს დავით პატარიაშვილს კიევიში შევხვდით

- ძალიან დაინტერესებული ვარ სიტუაციაში გარკვევით, თუმცა რაც ზმები მომივიდა, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცილისწამების მომენტებთან გვაქვს საქმე, რასაც სათანადო მსვლელობას მივცემთ — პირველად ეს თქვა პეტრიაშვილმა.
- ითქვა, მსაჯ კახა მესხზე ზეწოლა დინამოელთა მხრიდან იყო...
- „დინამოს“ თავის სამართლებელი არაფერი ჭირს. ჩამოვალ და ყველაფერს გავარკვევ. ამ საქმეს ბოლომდე მივყვები.
- ამ საქმეს შაბათს, აღმასკომის სხდომაზე განიხილავენ...
- თქვენგან არ უნდა ვიგებდე, რომ აღმასკომის სხდომა შაბათსაა დანიშნული. მე აღმასკომის წევრი ვარ და რეგლამენტით ოფიციალურად უნდა გამაფრთხილონ ფედერაციიდან. არადა, არავინ შემხმინებია, თანაც თურმე ასეთი ამბები ყოფილა თბილისში. ამის თაობაზე მაინც არ უნდა დაერეკათ?! უსაფუძვლოდ ბრალს გვედებენ. რა უნდა ვიფიქრო ასეთ დროს?!
- და რას ფიქრობთ?
- რას და, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ეს ყოველივე თითიდან გამოწოვილი, ხელოვნურად შექმნილი სისულელეა.
- „თბილისის“ ხელმძღვანელები მესხის გარჯით უკმაყოფილო არიან, ამბობენ, პენალტს ვიმსაჯურებდით, მეტოქე არ გააძევა და გოლი არ ჩავვითვალა.
- რა კომენტარი უნდა გავაკეთო ამაზე... თუკი ამით თავიანთი გუნდის მარცხის გამართლება სურთ, ეს მათი პრობლემაა. თამაში ბევრმა ნახა და სადავო არაფერია — მსაჯობა ობიექტური იყო.

აბატა კვანტალიანი



არადა, „თბილისი“ — „დინამო“ თამაში იყო, ზშირად გვენახოს

ოთარ გუნთაძე: მესხმა მუქარა აღიარა

რა დაწერა მოხსენებით ბარათში 9 მაისის „თბილისი“ — „დინამოს“ სკანდალური მატჩის არბიტრმა კახა მესხმა? ამის შესახებ ამ მატჩის ინსპექტორ **ოთარ გუნთაძეს** დავეკითხეთ.

- მესხმა ოფიციალურად აღიარა მუქარის ფაქტი?
- მესხმა მოხსენებითი ბარათი დაწერა, სადაც ადასტურებს, რომ მას მატჩის წინ დაემუქრნენ.
- მესხი იმასაც წერს, თუ ვინ დაემუქრა?
- არა, ამბობს, რომ დამრეკავი ჩემთვის უცნობიაო.
- სად ინახება ეს მოხსენებითი ბარათი, შეიძლება მისი ნახვა?
- ბარათი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ინახება და მას აღმასკომის სხდომაზე წარმოადგენენ.

დავით თაგართილაძე



გადამცემის ფუნქცია

პრაპიტარია ფედერაცია!

ჰოლანდიელი მწვრთნელი იმპან ბოსკამპი, რომელსაც ახალგაზრდული ნაკრების განვითარებაზეა ზოგადი მხარდა, მაგრამ მერე პირი უტეხეს, შესაძლოა მაინც ჩამოვიდეს საქართველოში და „თბილისი“ ჩაიბაროს. ყოველ შემთხვევაში, „თბილისის“ ხელმძღვანელობასა და ბოსკამპს შორის ბოლო ორი დღეა ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს



მწვრთნელი იმპან ბოსკამპი

ბოსკამპი თბილისში თბილისისთვის მოდის

შეგახსენებთ: ერთი თვის წინ, როცა ჰოლანდიელი მწვრთნელი თბილისში იყო ჩამოსული, მას ახალგაზრდულის პარალელურად „თბილისში“ შესთავაზეს სამსახური. მაშინდელი ზრახვებით, თუ ბოსკამპი ახალგაზრდულში დაინიშნებოდა, ის „თბილისში“ ტექნიკურ დირექტორად იმუშავებდა. ბოსკამპი

თბილისში ყოფნისას ამ კლუბის ინფრასტრუქტურას გაეცნო, საქმეში ნახა ფარმკლუბი „ოლიმპი“, ხოლო უმაღლესი დივიზიონის „თბილისის“ თამაშს ბოლნისში დაესწრო. ჰოლანდიელი მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა და კლუბის წინადადებას დათანხმდა. ის ახლაც, ფედერაციიდან ახალგაზრდულზე უარის შემდეგაც, თანახმაა, საქართველოში ჩამოვიდეს და „თბილისი“ ჩაიბაროს. ამის თაობაზე იმპან ბოსკამპმა გუშინ თავად ვკითხრა, როცა ბელგიაში შევეხმიანეთ

— დიახ, რამდენჯერმე დამირეკეს და „თბილისის“ მწვრთნელობა შემომთავაზეს. ჯერ საბოლოო პასუხი არ მიმიტყვამს, ვფიქრობ.

ზალაო! ტყუპნაგას პარტიანიტი

27 მაისს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც ითამაშებს. გოჩა ტყეშელაშვილს შეეერთები ებრაელ თანატოლებს გაეჯიბებინან. მწვრთნელს სურდა, საამაღლოდ დინამოელები — მცველი შოთა კაშია, ნახევარმცველი ჯაბა კანკავა და თავდასხმელები, სანდრო იაშვილი და მიხეილ კაკაბაძე მიეწვია, მაგრამ 26 მაისს თბილისის „დინამო“ საქართველოს თანხის ფინალში ქუთაისის „ტორპედოს“ ეთამაშება და ტყეშელაშვილს მათი გამოძახებისგან თავი შეიკავა, გადაღლილები იქნებოდნენ.

„ვიტ ჯორჯია“ საჩემპიონო ბრძოლას განაგრძობს და მიზნის მისაღწევად 17 მაისს „დინამოს“ დამარცხება სჭირდება. ბუნებრივია, ვეტერინარებმა ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების მწვრთნელთა ყურადღებაც მიიქციეს.

ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი **მოთარ მარცვალიძე**, რომელიც წლეულს გამოჩნდა „ვიტ ჯორჯიაში“, ძირითადად ადგილის დამკვიდრების ვარდა გუნდის ლიდერადაც იქცა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვიეს. ჩვენი ინტერვიუც ამით დაიწყო



მოთარ მარცვალიძე

საბოლოოდ, ახალგაზრდულის დამრიგებელმა არჩევანი ამ 18 ფეხბურთელზე შეაჩერა:

მეპარტიანიტი: გიორგი თოთლაძე (დინამო), ირაკლი ბაღაძე (ბათუმი), მინდია ბობლიაშვილი (რუსთავი);

მცველები: გიორგი ციმაკურიძე (სტალი, უკრაინა), დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზაალ ელიავა (თბილისი), ანზორ კალაძე (უგუნდო), მამუკა ლომიძე (როსტოვი, რუსეთი), თენგიზ ჩიკვილაძე (სპარტაკი), დავით ჭილაძე (სულდუა, ლიტვა);

ნახევარმცველები: თემურ რაქვიაშვილი (მცხეთა), გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, გონა ხუჯავა (თბილისი), კახა ალადაშვილი (სიონი), მურთაზ ბურნაძე (შერიფი, მოლდოვა);

თავდასხმელები: გოგი ფიფია (თბილისი), ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟე უკრაინა), ოთარ მარცვალიძე (ვიტ ჯორჯია)

ერთხელ მაინც გაბვიარტლოს! ვიტ ჯორჯია: ყველაფერი დინამოსთან

— ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახება შენთვის მოულოდნელი იყო?
— არა, ადრეც იყო ლაპარაკი, რომ ნაკრების კანდიდატი ვიყავი. ეს დიდ სტიმულს მაძლევდა და ცვდილობდი, უფრო მონდომებული ვყოფილიყავი.
— თავად როგორ მიგაჩნია, საუკეთესო ფორმაში ხარ?
— ჩემს ასაკში საუკეთესო ფორმაში ვარ. ლაპარაკი ნაადრევია, საუკეთესო ფორმაში ვარ. თუმცა „ვიტ ჯორჯიაში“ სტაბილურად ვთამაშობ და ვატყობდი, რომ ნელ-ნელა ვუმატებდი. ფეხბურთელს თავის წარმოჩენის შესაძლებლობა არცთუ იოლად ეძლევა და როცა ასე ხდება, მანს ხელი მაგრად უნდა ჩასჭიდო. ვფიქრობ, ეს მოვახერხებ.

— ერთხელ ნაკრებზე არ გიფიქრია?
— ეროვნულ ნაკრებს ახლა ევროპელი მწვრთნელი ჰყავს და ვფიქრობ, მანსი ყველას ექნება, ვინც რას გააკეთებს, არავის დაეკარგება. ბუნებრივია, მეც ვოცნებობ ქვეყნის უპირველეს გუნდში თამაშზე.
— „ვიტ ჯორჯიაზე“ ვთქვით. რამდენად რეალურია თქვენს ჩემპიონობა?
— მანსი არის და სულაც არ ვთვლი, რომ ის მცირეა.
— მზად ხართ, გაუძლოთ ფსიქოლოგიურ ტვირთს? თქვენ ხომ, ფაქტობრივად, ფინალის ტოლფასი მატჩი გაქვთ 17 მაისს „დინამოსთან“...

— ერთხელ ჩვენც ხომ უნდა გავიმართლოთ?! ბოლო წლებია, „ვიტ ჯორჯიას“ სულ ცოტა აკლდება ჩემპიონობამდე, მაგრამ ახლა, ჩემი აზრით, გუნდი საამისოდ უკვე მომწიფდა. თანაც, არა მგონია, ეს მატჩი ფსიქოლოგიურად მარტო „ვიტ ჯორჯიასთვის“ იყოს მძიმე. მართალია, წაგების შემთხვევაში ჩვენ შესაძლოა, ყველაფერი დაკარგოთ, მაგრამ დასაკარგი „დინამოსაც“ აქვს. სეზონში ერთი მატჩის მაღალ დონეზე თამაში ყველას შეუძლია და ჩვენ ყველაფერს ამ თამაშში ჩავლებთ.
— „ვიტ ჯორჯიაში“ დაუგეგმავი ქულებიც ბლომად კარგა...
— ეს რომ არა, ეგებ უკვე ჩემპიონებიც ვყოფილიყავით. რას იზამ,

ეს ფეხბურთის წესია და ამითაცაა ის საინტერესო.
— დაუგეგმავი და, ფაქტობრივად, საჩემპიონო ქულები კინაღამ გორშიც დატოვებ...
— რაღაც უცნაური თამაში იყო. ყველაფერი კარგად დაიწყო, ბევრი მომენტები შევქმენით, მაგრამ ბურთი არა და არ გადიოდა. ბოლოს კი, ეტყობა, ღმერთმა გადმოგვხვდა, ამდენი წვალბა დაგვიფასდა და ისეთი გოლი გავიდა, იშვიათად რომ გადის. გასახდელში დიდი სიხარული იყო. ჩემი აზრით, რომ არ მოგვეგო, უსამართლობა იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონატი ინტრიგას დაკარგავდა.
— პარტიონთაგან ყველაზე უკეთ ვისთან ხარ შეწყობილი?
— ეს პირველი სეზონია და განსაკუთრებულ შეთამაშებაზე ლაპარაკი ნაადრევია. ამას სამი-ოთხი წელი მაინც სჭირდება. თუმცა გიორგი ადამიას და რეზო გოცირიძეს მაინც გამოვარჩევდი.
— ყველაზე მეტად რაში ხარ ძლიერი?
— ოღონდ ამას ნუ მკითხავ, არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მარცვალაძე სწრაფი ფორვარდია.
— გამორჩევით რა გაქვს დასახვეწი?
— თავით თამაში, პოზიციის შეჩვენებაზე სამუშაოა. სხვაც ბევრია, დაუზარელ მუშაობას რომ მოითხოვს.
— ვინაა შენთვის მისაბაძი ფეხბურთელი?
— რონალდოს თავყვანისმცემელი ვარ. საოცარი სისწრაფე, ტექნიკა და, რაც მთავარია, სურვილი, ითამაშოს და ისამოვნოს ფეხბურთით.

გიორგი ლომიას საქართველო და თბილისური „ლოკომოტივი“ ალბათ ისე ენატრება, როგორც არასდროს. რკინიგზულ კლუბში დამაჯერებელი თამაშით ხომ გიორგიმ საქართველოს ნაკრების კარშიც დაიმკვიდრა ადგილი, თუმცა ახლა სხვა დროა — ლომია მოსკოვის „სპარტაკში“ თამაშობს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, სათადარიგოთა სკამზე ზის და ვინძლო, მის სანაკრებო კარიერას საფრთხე ემუქრება. ალენ შირესმა ხომ არაერთხელ თქვა, უთამაშებელ ფეხბურთელს ნაკრებში არ მივინვევო. ამის მიუხედავად, ლომია 27 მაისს ისრაელთან სათამაშოდ შერჩეულთა შორისა და ეს ამბავი გუშინ ჩვენგან გაიგო...



პაატო სულაშვილი

სპარტაკი ლომიას საქართველოს აპარტეიდებს

— მიხარია, რომ შირესმა ისევ გამოიძახა. ჩემ გარდა კიდევ რომელი მეკარეები შეარჩია?
 — აკაკი დევაძე და ზურაბ მამალაძე. საკმაოდ ძლიერი კონკურენტები გყავს...
 — ასეც უნდა იყოს. კონკურენცია ყოველთვის კარგია.
 — მაგრამ ისეთი არა, როგორც „სპარტაკში“, ხომ?
 — რა ვიცი, რა გითხრა...
 — როდისღა უნდა ითამაშო?
 — ეს მწვრთნელს უნდა ჰკითხო. მე დღესვე მზად ვარ სათამაშოდ, მაგრამ...
 — გავიგეთ, ნევიო სკალას წყალი შეუღდაო...
 — ეს აქაც იგრძნობა, თუმცა მაინც არა მგონია, მოხსნან. ვფიქრობ, ცოტა დროს კიდევ მისცემენ.
 — გამორიცხავ, რომ მომავალ ტურშივე გადააყენონ?
 — არა, გამორიცხავთ ვერაფერს გამოვიცხავ. ცეცხკასთან თამაშს მართლა შეუძლია ბევრი რამის გარკვევა. თუ წავაგეთ, მაშინ სკალას ალბათ ვერაფერი იხსნის. უკვე ამდენი წავაგეთ და ხელმძღვანელობა ჩასაფრებულია.

— გასაკვირია ისიც, რომ საჩხერეო გუნდშიც არ თამაშობ...
 — არ მათამაშებენ და რა ვქნა?!
 — კი მაგრამ, გუნდში მეორე მეკარედ ხომ ითვლები?
 — აქ სხვაგვარად ფიქრობენ. მართალია, ძირითად გუნდში თამაში არ მიწევს და სათადარიგო ვარ, მაგრამ მითხრეს, დუბლებში არაფერი გესაქმებო. რას გაიგებ...
 — და ძირითადს როდემდე უნდა ელოდო?
 — არ ვიცი. ვარჯიშებზე ვგრძნობ, რომ მწვრთნელს მეც ვჭირდება, მაგრამ კარში მაინც კოვალევსკი დგება. უბრალოდ, სკალა კარგი ფსიქოლოგია და ვარჯიშებით ახერხებს ჩემს გამხნევებას და დაიმედებას. მე კი ამასვე მეტად თამაში მინდა.
 — გიფიქრია, რომ ასე ნაკრებშიც დაკარგავ ადგილს?
 — არის ამის საშიშროებაც, მაგრამ რა ვქნა, არ ვიცი. ძველებურად ვვარჯიშობ და შანსს ველო.
 — სკალაზე კიდევ რისი თქმა შეგიძლია?
 — ჯიუტი კაცია. წესიერად ვერ დაელაპარაკები და თუ დაელაპარაკე,

რაკე, აზრს ვერ შეაცვლევიან. თავისი გატანა უყვარს. ისე, მწვრთნელიც ასეთი უნდა იყოს, საკუთარი შეხედულებები უნდა დაიცვას. ამაში ვერ გავამტყუნებ.
 — „სპარტაკმა“ სეზონი კარგად დაიწყო, ერთი ხანობა ლიდერიც იყო. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. რა ხდება?
 — რა ვიცი, ახლა აქ არეული სიტუაციაა. ახალი ხელმძღვანელობა გყავს და უფრო ორგანიზაციული მხარეებით არიან დაკავებული. ოფისიც სხვაგან გადააქვეთ და მთელი ამბებია. იმედია, მალე ჩვენც უფრო მეტად მოგვხედავენ.
 — შენი აზრით, ვინ გახდება წლეულს რუსეთის ჩემპიონი?
 — ალბათ „ლოკომოტივი“, ყველაზე სიმპათიური გუნდია. ისეც კეცკაც არაა ჩამოსაწერი.
 — თბილისში როდის ჩამოდიხარ?
 — 23 მაისს გვეწყება შევბულება და მეც წამოვალ. 27-ში ნაკრების თამაშია, მერე კი „სპარტაკს“ შეკრება ეწყება. ასე რომ, თბილისში დიდი ხნით ვერ გავერდები.

პაატო სულაშვილი

მე პატარა ბიჭი ვარ? ჩალაქი რუბინს გაიბნობა

დავით ჩალაქი და ყაზანის „რუბინი“ ვერ შეირგდნენ. საქმის ვითარებას მოკლედ მოგახსენებთ: ქართველი თავდამსხმელი „რუბინს“ წლეულს, ზამთარში დაშორდა: მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და კონტრაქტიც, ცხადია, აღარ გაგრძელდა. ჩალაქმაც გულანაბადი აიკრა და სხვა რომელიმე რუსულ კლუბში ცდილობდა გადასვლას, თუმცა არც აქედან გამოვიდა რამე. პირველიველ „ურალანში“ და „ტერეკში“ ჩარიცხვა თავად ფეხბურთელმა არ ისურვა, პრემიერლიგელთაგან კი სერიოზული დაინტერესება არ ყოფილა.



ჰოდა, ჩალაქი ადგა და ბოლნისის „სიონს“ შეეკვლია. ტრანსფერი თითქმის მოკვარაზჭინებული იყო და ამ დროს ისევ „რუბინმა“ წამოყო თავი: ჩვენებურს თავისთან უხმო და დათოც რუსეთში გაფრინდა. ყაზანელბთან პირველ შეხვედრას ფეხბურთელისთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ჩალაქმ „რუბინის“ თავკაცობს თავისი პირობები გააცნო, რაზეც უარი მიიღო, ახლა კი...
 — „რუბინში“ დაბრუნების იმედი

არც მაქვს. ეს კლუბი თავისას გაიძახის და უნდა, მის უაზრო წინადადებას დაეთანხმებ. მაგრამ პატარა ბიჭი არ ვარ და ვერ მომატყუებენ. ახლა სხვა ვარიანტებს ველი. რაღაც-რაღაცებს მპირდებიან და ვნახოთ, რა როგორ გამოვა. ისე, თუ სასწაული მოხდა და „რუბინი“ შემეხმანა, ამაზეც დავეფიქრებდი, თუმცა ეს უკვე არარეალური მგონია, — გვითხრა გუშინ დავით ჩალაქმ, როცა მოსკოვში შევეხმიანეთ.

პაატო სულაშვილი

საართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ფეხბურთი
დავით ყიფიანის
თასის ფინალი
ღინაგო თბილისი

თბილისი VS ტყ

გორკაელო ქუთაისი

26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.
 დასაწყისი 20:00

პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაპატივებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან

დასწრება უფასოა

სიასლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დაგზავნა გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით ნომრები სპორტულ მაისურებზე, ნარწერები... სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპლები... საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

ფეხბურთი

გორის ვაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა
14 მაისი
 ოცდამეცხე ტური

აგერი — ღინაგო 2
 თბილისი თბილისი

დასაწყისი 18 საათზე. დასრულება უფასოა

იტალია

თასის ფინალი
საპასუხო მატჩი

მანჩინი თასებს აბრუნებს

ბაბარი ქალბატონი უსაჩუქროდ დარჩა

ცხადა ახალგაზრდა ტაქტიკოსმა „იუვენტუსთან“ ნათამაშები 2:2-ის შემდეგ. შეგახსენებთ, პირველი მატჩი რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციოში“ 2:0 მოიგო, ასე რომ, ჯამში 4:2 დაუგროვდა.

ხოლო „იუვე“ ამ სეზონში ჯილდოს გარეშე დარჩა და ეს გახლდათ დიდი მწვრთნელის, მარჩელო ლიპის ბოლო ტურინული შეხვედრა „მაკ-თეორების“ მწვრთნელის რანგში. აქვე დავძინოთ, რომ ლიპის განკარგულებაში არ იყვნენ ალესიო ტაკინარდი, ანტონიო კონტე, მაურო კამორანეზი და იგორ ტულორი.

შეხვედრა „ლაციოს“ უპირატესობით დაიწყო და „იუვე“ ჩირო ფერარას უნდა უმადლოდეს სტეფანო ფიორეს პასით რობერტო მუციმ ადრევე რომ არ გახსნა ანგარიში. მასპინძლების პასუხი ასეთი გახლდათ: ჯერ ენცო მარესკას პასით ოდინდელმა ლაციოელმა, პაველ ნედვედმა ააცილა მიზანს, ხოლო შემდეგ ჯანლუკა მამბროტას სოლო მონდომებას ეწვია იგივე ბედ.

ანგარიში მე-20 წუთზე გაიხსნა:

ალესანდრო ბირინდელის ჩაწოდებულ ბურთს დავიდ ტრეზეგემ ჩაჰკრა თავური. აქ „ლაციოს“ მცველებმა დაუშვეს უხეში შეცდომა — ფრანგი ფორვარდი არც ამხტარა, ისე შეასრულა თავური დარტყმა.

გამოხდა რამდენიმე წუთი და ჯანლუკა მამბროტამ კინაღამ მეორე მიაყოლა ტრეზეგეს პირველს — რომაელთა საბედნიეროდ, ბურთი ოდნავ ასცდა მასპინძლების კარს. ამის შემდეგ კი „ლაციოს“ ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობანი: ლილიან ტურამმა სეზარის ძალიან სახიფათო მომენტისგან დაიცვა „იუვეს“ კარი, ფაბიო ლივერანის დარტყმული ძელს მოხვდა, ხოლო ზედ შესვენების წინ იმავე სეზარმა მასიმო ოდოს ჩაწოდებულს მიუსწრო და ბადეც შეარხია, ოდონდ გარედან.

შესვენების შემდეგ „იუვენტუსის“ შემადგენლობაში გამოჩნდა განხელი ნახევარმცველი სტეფან აპია, რომელმაც სერია A-ს ბოლო ტურში ცხვირი დაიზიანა და „ლაციოსთან“ მის თამაშს არ ელოდნენ, მაგრამ მაინც შევიდა ჯანლუკა პესოტოს მაგივრად. თან, შესვენების შემდეგ რომაელებმა მოედანზე მარცხენა ფეხით შეაბიჯეს — 24-ე წამზე საჯარიმოში სიტუაცია აერიათ და დელ პიერომ იოლად გაათანაბრა ანგარიში ორი შეხვედრის ჯამში.

აქ „ლაციომ“ რობერტო მუცი ბერნარდო კორადით შეცვალა — რომაელებს ერთი გოლი ისევ დიდ უპირატესობას დაუბრუნებდა. ინტაგამ, ისევე როგორც მისმა სხვა თანაგუნდელებმა, მასპინძლებს გვარიანი შეტევები მოუწყეს და 69-ე წუთზე შეაგდეს კიდევ ის ნანატრი გოლი: სინიშა მიხაილოვიჩმა კუთხური ჩააწოდა, ხოლო ბერნარდო კორადიმ თავურით ტყვიასაკვით შეაგლო.



მეორეული ბიჭური თქმა



ალესანდრო დელ პიერო რომაულ ალყაში

ლიპიმ მდგომარეობის გამოსასწორებლად მარკო დი ვაიო და ფაბრიციო მიკოლი შეუშვა მოედანზე. დი ვაიომ — სხვათა შორის, „ლაციოს“ სკოლის აღზრდილმა — ერთ ეპიზოდში ტრეზეგეს შეუქმნა საგოლე მდგომარეობა, მაგრამ იპა სტამპა შეძლო ფრანგისთვის ხელის შეშლა.

ბოლოს კი ფიორემ გაათანაბრა. „ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ — განაგრძო მანჩინიმ — თან მეორე გოლი მეორე ტაიმის 24-ე წამზევე გავუშვით, მაგრამ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩვენ თუნდაც ერთი გოლის გატანის შესაძლებლობა მოგვეცემოდა და ამ შესაძლებლობით ვისარგებლებდით“.

სტეფანო ფიორე: „ძალიან ბედ-

ნიერი ვარ, გოლი რომ გავიტანე, მაგრამ ამის მიუხედავად, ჯილდო ყველასია. იგი ეკუთვნის ყველა იმ ფეხბურთელს, ვინც ბოლო ორი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად იშრომა. მიუხედავად უამრავი საგოლე მომენტისა, მაინც დიდი წვალეებით მოვიგეთ. რაღაც მომენტში შემეშინდა კიდევ, ვაითუ ისევ არ გავკვირდებოდათ-მეთქი, მაგრამ ამჯერად გავკვირდებოდა“.


ბერნარდო კორადი: „პირველ ტაიმშიც კარგად ვითამაშეთ, თუმცა ყველაფერზე კარგი ის იყო, რომ მეორე გოლის გაშვების შემდეგ ნერვებს არ აყვევით. დღეს ყველამ ნახა, რომ „ლაციო“ მებრძოლთა გუნდია“.

ბაბუნა კეღია

დეზანაბა ფასი დაიგდო, კრანდელი ისადაც იაფია

„მონაკოს“ მწვრთნელზე, დიდი დეზანზე ხელახლა ალაპარაკდნენ, მომავალ სეზონში შესაძლოა, „იუვენტუსის“ სათავეში მოგვევლინოსო.

ხელახლა ალაპარაკდნენო, იმიტომ ვამბობთ, რომ ერთხანს ტურინელების მომავალ მწვრთნელად ყველას და თან ულაპარაკოდ, „პარმას“ თავკაცი ჩეზარე პრანდელი მიაჩნდა, მაგრამ, ეტყობა, არ უნდა ეჩქარათ, რადგან ფრანგის კანდიდატურა ძალიან სერიოზულად განიხილება.



ასეა თუ ისე, „ბებერმა ქალბატონმა“ ხმამაღლა დაადასტურა, რომ მარჩელო ლიპის ამ ორი სპეციალისტიდან ერთი შეცვლის.

პრანდელის უპირატესობა ისაა, რომ ნაკლებ ხელფასად იმუშავეს და კლუბს ამით აწონებს თავს. კერძოდ, დეზანის ჯამაგირი „მონაკოში“ 3,6 მილიონი ევროა. პრანდელისგან კი 1,8 მილიონზეც დიდ მადლობას ელიან, თუმცა ოთხშაბათს გავრცელდა ხმა, რომ თამასა დეზანმაც დასწია.

ბაბუნა კეღია



სკაიმ სერია სერიალივით განაღდა

ამოკუნ, რომ მომავალი სეზონიდან სერია A-ს ტრადიციული შაბათ-კვირა შეიცვლება და ამის მიზეზი იქნება ტელეარხი SKY ITALIA, რომელიც კვირის ადრეულ და ორშაბათის გვიან თამაშებს ითხოვს.

ვიმეორებთ, ჯერჯერობით ეს ყველაფერი ჭორია, მაგრამ სრულიად შესაძლოა, სინამდვილესთან ძალიან ახლოსაც იყოს. კერძოდ, რატომ უნდა იყოს ტყუილი ის, რომ წინასწარი მოლაპარაკებების შედეგად ყველა გუნდი ამ პროექტის თანახმაა? თუ გავითვალისწინებთ, რომ დიდ კლუბებს სამშაბათ-ოთხშაბათ-ხუთშაბათს ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე მოუწევთ გამოსვლა, ორშაბათის შეხვედრებს, ეგრეთ წოდებულ პატარა გუნ-

დებზე გადაანაწილებენ და საბოლოოდ ბევრ იტალიურ ფეხბურთს მივიღებთ.

შაბათს ორ თამაშს, იტალიის დროით 18 და 20.30 საათებზე; კვირას ერთს 13-ზე, დანარჩენებს კი 15 საათზე და ერთსაც ორშაბათს — 20.30-ზე.

ვარაუდობენ, რომ ეს გეგმა იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ხელს არაფერში შეუშლის. საქმე ის არის, რომ ფედერაცია ხელშეკრულებას დებს ქვეყნის სახელმწიფო არხ RAI-სთანაც, მაგრამ, მოგეხსენებათ, მომავალი სეზონიდან სერია A-ში 20 გუნდი მოიყრის თავს, ასე რომ, თამაშები თავზე საყრელად იქნება.

ბაბუნა კეღია



რუსეთი ტიტოვი არ არის უელსმა სასამართლოც ნააზრო

სპორტის საარბიტრო სასამართლომ უელსელთა საჩივარი ცივად გადადო გვერდით და დაადასტურა, რომ ევრო 2004-ზე რუსეთის ნაკრები უნდა გაემგზავროს

რა უნდოდა უელსის ფეხბურთის ასოციაციას? მას სურდა რუსეთი ევროპის ჩემპიონატიდან მოეხსნათ და ამ ნაკრების ნაცვლად მისი ქვეყნის ეროვნული გუნდი დაეშვათ. რუსეთის დასჯის საბაბი, უელსელთა ვარაუდით, უნდა ყოფილიყო ევრო ტიტოვის დოპინგ-ჩავარდნა. შეგახსენებთ, რომ ტიტოვი რუსეთ-უელსის მეორე საპლეიფო შეხვედრის დრო შეამოწმა დოპინგ-კონტროლის ლაბორატორიამ და დაადგინა, რომ მისი ორგანიზმი წამლის ზემოქმედების ქვეშ იყო.




უეფამ უელსელების საჩივარზე ადრევე განაცხადა უარი, ამიტომ ახლა ისინი ზემოხსენებულ სასამართლოში ეძებდნენ ბედს, მაგრამ აქაც იმავე პასუხით გამოისტუმრეს. ტიტოვი იმ, საბედისწერო მატჩში, მოედანზე 59-ე წუთზე შევიდა. ის შეხვედრა „მილენიუმზე“ რუსებმა 1:0 მოიგეს და მოიპოვეს ადგილი ევრო 2004-ის ფინალში, სადაც ჯგუფში პორტუგალიასთან, საბერძნეთთან და ესპანეთთან მოხვდნენ, უელსელებს კი უნდოდოდა მატჩის ანგარიშად მათი სასარგებლო 3:0 დაფიქსირებულიყო და

ხსენებულ ჯგუფშიც თავად რეზოლუციით ადგილი.

მოსკოვის „სპარტაკის“ კაპიტანი, ტიტოვი უეფამ იანვარში, ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, თავად ფეხბურთელი დაუღალავად იმეორებს, რომ ბრომანტანის შემცვლელი მედიკამენტი შეცდომით დალია.

„ვეფირობ, უელსელებმა მხოლოდ დრო და ფული დახარჯეს. უეფას ნათლად ჰქონდა ნათქვამი, რომ ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ყველამ მოედანზე უნდა მოიპოვოს და არა სასამართლოში, უელსს, როგორც ჩანს, სხვანაირად ეგონა“ — განაცხადა რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრ ტუქმანოვმა.

პაპუნა კვიციანი

TRIBUNAL ARBITRAL DUSPORT

COURT OF ARBITRATION FOR SPORT



ბერლინში მთავარი სასაუბრო თემა კვლავ მიუნხენის „ბაიერნი“ ფრანც ბეკენბაუერმა სატელევიზიო ინტერვიუში ოტმარ ჰიტცფელდი გააკრიტიკა: „ყველა

გუნდს ჰქონდა გარკვეული მიზანი ამ სეზონში, „ბაიერნის“ და ჰიტცფელდის მიზანი კი ვერ გაივსო. საჭიროა ძირეული ცვლილებები“.

ბეკენბაუერი ბაიერნმა დააბნია კანის საათნახმპრიანი აღსარება

კომენტატორმა ვალდემარ ჰარტმანმა „კაიზერ ფრანცს“ კვერი დაუკრა: „ბაიერნი“ იმდენად ამაზრუნენად ითამაშა ამ სეზონში, რომ კომენტირება ძილიან მიჭირდა“.

ჰარტმანს ოლივერ კანმა, ული ჰიონესმა და რუმენიგემ შეუტყვის, შენს ტელევიზიას მიხედო. ჰიონესის თქმით, მომავალ სეზონში მწვრთნელი კვლავ ჰიტცფელდი იქნება.

„ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში რომ გასულიყო და ბუნდესლიგაც მოეგო, სპონსორებისგან 15 მილიონ ევროს მიიღებდა. მიუხედავად ამისა, კლუბმა მაინც გამოიხატა 15 მილიონი და ეს ფული „ლევერკუზენიდან“ ლუსიოს გადასახიბრებლად გაამზადა. სწორედ ამდენს ითხოვენ ლევერკუზენელები.

უკვე ლაპარაკობენ ოლივერ კანის ეპოქის დასასრულზე. ვარჯიშის შემდეგ ნაკრების მეკარეთა მწვრთნელმა ზებ მაიერმა კანი დატოვა და დაახლოებით საათნახვერი ესაუბრა. „ბაიერნის“ მეკარემ უთხრა მწვრთნელს, რომ „ვერდერთან“ მატჩში კლასიციზიან განსხვავებული გოლის შემდეგ ძალიან დათრგუნულია.

ნავარჯიშებმა კანმა, როგორც წესი, მეორე ცოლ ვერუნასთან კი არ გასწია, განმარტოვდა, რადგან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. გერმანული პრესა „ბაიერნის“ მეკარის შემცვლელად ტიბო ჰილდებრანდს მიიჩნევს. ჰილდებრანდმა კანის მშრალი სერია შარშან შემოდგომაზე გააუმჯობესა, როცა 884 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვა.

მამა ხუციშვილი



მრთგულეების მრთი ნელის ირურებას პროექტი ძველი დეკორბიკოა

ორიოდ დღე გავიდა, რაც ხავიერ ირურეტამ ვალისიურ „დეპორტივოსთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაავრძელა და მწვრთნელი ესპანურ „მარკასთან“ შეხვედრისას უკვე სამომავლო პროექტებზე საუბრობს. ბასკი

ირურეტას სიმტიკიცისა ყველას კარგად მოეხსენება და ისიც ყურნალისტის შეკითხვაზე, სარფიანი ვარიგების შემთხვევაში „რიასორიდან“ თუ ნახვალო, ძველებურად ომახიანად პასუხობს...

— რა არის თქვენი „დეპორტივი“ კიდევ ერთი წლით დარჩენის მიზეზი?

— ალბათ ის, რომ კვლავ იმედი მაქვს, ჩემი პროექტებით „დეპორტივი“ მომავალში უფრო მეტს მიაღწევს. ახლანდელი შემადგენლობა ძალიან მომწონს. უკვე რამდენიმე წელია, ჩემპიონთა ლიგაში მეტ-ნაკლებად კარგად გამოვდივართ. ახლა შედეგები უნდა გავაუმჯობესო, ამისთვის კი გუნდში მეგობრული ხასიათის შენარჩუნებაა საჭირო. გარდა ამისა, ლა კორუნია ჩემთვის მშობლიური ქალაქი გახდა. კლუბს, ხალხს, ყველას კარგად ვიცნობ და რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა თუ არ მოხდა, „რიასორთან“ განშორება ნამდვილად გამიჭირდება.

— ესე იგი, ფიქრობთ, რომ „დეპორტივი“ გაისად უფრო უკეთ ათამაშდება?

— რა თქმა უნდა. ამ სეზონში იღბალს რომ არ ეღალატა, ტიტულებს მოიპოვებდით. საგაისოდ შეცდომებს გამოვასწორებთ და ესპანეთშიც და ევროპაშიც „დეპორტივი“ ყველასთვის საშიში მეტოქე იქნება.

— ამ ბოლო დღეებში თქვენზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც მადრიდის „რეალის“ ერთ-ერთ სავარაუდო მწვრთნელზე. ამაზე რას გვეტყვი?

— წინა წლებში უფრო კონკრეტული წინადადებებიც მქონდა, თუმცა ყოველთვის ვამჯობინებდი, ჩემი

საქმეები ასი პროცენტით დამეგვირგვინებინა და ისე მივედომოდი მოლაპარაკების მაგიდას. ბუნებით ერთგული კაცი ვარ. 7 წელია, „დეპორტივოსთვის“ ვმუშაობ და თითქმის ბოლომდე მიყვანილ პროექტს ასე ადვილად ვერ მივატოვებ. ოჯახმაც მხარი დამჭირა. მეუღლემ მითხრა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ლა კორუნიაში დავრჩენილიყავი

— 2003-04-ის ჩემპიონთა ლიგა რომ მოგვეოთ და რომელიმე ევროპულ გრანდს თქვენთვის ზღაპრული წინადადება მოეცა, მაინც არ წახვიდოდით?

— არა მგონია. გადაწყვეტილება არ შევიცვლიდი.



ნორვეგია

ტიჩაქლივა. V ტური

30:00:00 და ლილესტრიუზი

ტრომსიო	5	4	1	0	12:3	13
ოდ გრენლანდი	5	3	2	0	10:3	11
ჰამ კაში	5	2	3	0	5:2	9
ვოლერენგა	5	2	3	0	5:3	9
რუსენბორგი	5	2	2	1	6:6	8
ლილესტრიუზი	5	1	3	1	7:6	6
ბოდიო გლიმტი	5	2	0	3	7:8	6
ლინი	5	1	2	2	3:4	5
მოლდე	5	1	2	2	5:7	5
ბრანი	5	1	1	3	5:6	4
სოგნდალი	5	1	1	3	6:9	4
სტაბეკი	5	1	1	3	6:10	4
ვიკინგი	5	0	4	1	2:6	4
ფრედრიქსტადი	5	1	1	3	5:11	4

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი საფრანგეთი (4-15 მაისი)

ნახევარფინალი

ინგლისი 1:2 ესპანეთი

0:1 გარსია ბარენო (10), 1:1 რიდი (18), 1:2 ფაბრეგასი (90პ)

საფრანგეთი 3:1 პორტუგალია

0:1 პ. მორეირა (27), 1:1 ნასრი (52), 2:1 მენეი (56), 3:1 ბენ არფა (63)


ფინალი. 15 მაისი

გაბრიელის

ესპანეთი — საფრანგეთი


დედოფალი და ასალი

ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე სარის საჯინბოებს სწევვია და „მაკლარენის“ ახალი საფორმულე ბოლიდი შეუთვალეობია. რა თქმა უნდა, იქ ყოფილან დევიდ კულპარდი (შუაში) და კიმი რაიკონენი, რომლებიც ამ ახალი ბოლიდის საქეს მიუსხდებიან და „ფურარისთან“ ჭიდაობას შეეცდებიან.



იმპერიალიზმი

ამ ცხენს იმპერიალიზმი ჰქვია, მის მწვრთნელს კი კრისტი მალპოლი. იმპერიალიზმი, რომელიც ამასწინანდელ კენტუკის დერბიზე მესამე იყო, ახლა ბალტიმორში დაჭუნაობს და პრივინის სტეიკის დოლისთვის ემზადება, რომელიც ამერიკის სამი დიდი დოლიდან ერთ-ერთია.



ათენის ორი ვაჭარი

ახლოვდება ათენის ოლიმპიადის და ევროპის წარმომადგენელთა ამომავალი მონეტაც მოჭრეს. ორევროიანი, რომელზეც ანტიკური ბადროს მტყორცნელია ამოტვიფრული, ვუშის გავიდა ხალხში და ჯამში სულ 50 მილიონი მოიჭრება.



ქულა რვეინია

ბურთი ხაზს იქეთ არის: ასე თვლიან რუსი ფრენბურთელი ვოვოები კატია ვამოვა, ირინა ტებენიკინა, ლენა პლოტნიკოვა და მარინა შეშენინა (წინ). თუმცა, რუსეთის ნაკრები მაინც იოლად ამარცხებს ტაივანელებს. ტოკიოში კი შუაწელს გადასცდა ათენის ოლიმპიადის შესარჩევი რვაგუნდა ტურნირი, რომელშიც რუსებმა 4 თამაშიდან 3 მოიგეს.

REUTERS პალტინორიდან

REUTERS უოჩინგიდან

REUTERS ათენიდან

REUTERS ტოკიოდან

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორგანოს,
საგანობათს, ოთხგანათს,
სუთგანათს,
პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიგრიალი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძე
ტიქნიკური რედაქტორი მამუკა გუბაიაძე
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით ერასე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, ლადო ზომერიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაპლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: გია ახალაძე, ათანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალაქელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენუაშვილი, ბადრი კვიციანიძე
სტილისტები: ნათელა გორგოზიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატა დვალისხელი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
მუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieri.com.ge>